მომავალი

—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი—

№ 87 ხუთშაბათი, 10 დეკემბერი 1909 წ. № 87

გაზეთი „მომავალი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარით 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებეს ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.

1910 წლისთვის მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალის»-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.

გულდამწვარი მშობლები ალექსანდრე და ლისა, ძმები: გიორგი და მიშა, რძალი სოფიო და ძმისწული სამურა საბახტარიშვილები, გულ-მწუხარეთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულ გარდაცვალებას ძვირფასის

ილიუშა საბახტარიშვილისას

პანაშვიდი ყოველ დღე, შუადღის ხუთი საათიდან—საკუთარ სახლში. (ფოთი, ლილიანის ქუჩა). დაკრძალვა მოხდება კვირას, 13 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე. 3—1

გლეხი-კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია“-ზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

შინაარსი წიგნისა:

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე —1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (ЗАК. ПИСЬМО). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება რომელიც «მომავალის» და „დროების“-ს 6 დეკემბრის ნომერთან ერთად დაირიგდა ხსენებულ ნომრებთან ერთად გაზეთზე ხელის მოწერით.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—5)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. კ. კანდელაკისა

კოოპერაცია

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა

შინაარსი: რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია. სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლათ. ამგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში.

✖ **წიგნის ფასი 35 კაპ.** ✖

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія «Шрома» Василію К. Болквадзе.

თფილისის სახაზინო თეატრი

პეტერბურგის დრამატიული თეატრის ვ. ფ. კომმისარჟევსკაიას **გასტროლები,** 6-დან 14 დეკემბრამდის.

ვერა ფეოდოროვნა **კომისარჟევსკაიას** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს
„უმზითვო“ (безприданница)
დრამა 4 მოქმ. ოსტროვსკისა.

პარასკევს, 11 დეკემბერს
„პეპელათა ბრძოლა“
კომ. 4 მოქმ. ზუდერმ. თარგ. კუმანინისა.

შაბათს, 12 დეკემბერს
„ცხოვრების ნადიმი“
ახალი პიესა პშიბიშევსკისა 4 მოქმედება.

კვირას, 13 დეკემბერს
„ოგნი ივანოვოი ნოჩი“
დრ. 4 მოქმ. ზუდერმან. თარგ. საბლინისა

ორშაბათს, 14 დეკემბერს
„ნორა“
დრამა 3 მოქმ. იბსენის, თარგ. განზენისა.
აღებული ბილეთები გამოდგება.
დირექციის რწმუნებული პ. ა. რუდინი
დასაწყისი საღამოს 8 ს.

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ, 7 დეკემბერს გარდაიცვალა

ნიკიფორე ყურაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ამხანაგთ და ნაცნობ ოზურგეთელი ამხანაგები.

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.
გურკო ბ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
ძიძოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.
ფირაძოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
პოპოვი გ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.
რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს.
სოგოლევსკი გ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე, 9—11 ს.
თიკანაძე ი. ე. დედაკაც. სნებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—54)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.
ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
ექ. გ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.
ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—54)

ქ. ბათუმში

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მაღაზია

კ. ა. მაჭარაშვილის და კ. ა. ჭეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კროვატები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—6—8)

არც ერთ თამბაქოს ქარხანას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ღირსებით ახლათ გამოშვებულ პაპიროსებს:

„Дружба“ и „Товарищъ“ 20 ცალი 5 კაპეიკი

ყოველ დღე იყიდება **200.000** ცალი.

იყიდება ყველგან.

თამბაქოს ქარხანა ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვილებით.

10—9

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

დ. ჭიათურაში კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

კბილის ექიმი

როშანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 13 ამ თვეს, სამეურნეო ბანკში დანიშნულია

საზოგადო კრების გაგრძელება

განსახილველი საგნები:

1. 1908 წლის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
4. მიღება საზოგადოების ახალი წევრებისა.

კრება დაიწყება 11 საათზე. 3—1

პრესა

მკითხველმა უკვე იცის, რომ ქართულმა თეატრმა იკისრა ბ. პ. გოთუას „გამოცხობილი“ პიესის—«პარტიის კაცი?!»-ს დადგმა ხუთ დეკემბერს. როგორ დაიფასა ეს პიესა ადგილობრივმა გაზეთებმა?

„დროება“, სხვათა შორის, სწერს:

„ეს-ეს არის განვიცადეთ ის, რასაც ისტორია უკვე „რუსეთის რევოლიუციას“ ეძახის. მთელი ეს ბრძოლა შედეგი იყო ასი წლის მონობისა და გამოიწვია მრავალმა მოვლენამ. ისტორიას თავისი მსჯავრი ჯერ არ გამოუთქვამს იმიტომ, რომ ყოველივე ეს გუშინ მოხდა, მაგრამ როცა გამოსთქვამს, იგი მიზეზებს ამ ასი წლის ცხოვრებაში გამოსძებნის. სამწუხაროთ, ბევრ ჩვენებურ ისტორიკოსის ისტორიას ძალიან მოკლე ფეხები და ბეცი თვალები აქვს (ხაზი ჩვენია). ასეთი ისტორიის დამწერი გამოდგა, სხვათა შორის, ბ. პ. გოთუა...

...შეცდომა ბევრი მოხდა, უთვალავი. გაიძვერა, დაცემული მოქმედებაც ბევრი იყო, მაგრამ შეცდომა იქ არ ხდება, სადაც არაფერი კეთდება. სახალხო მოძრაობა ჩოხა არ არის, რომ ოსტატ თერძს ისე გამოაჭრევინო, როგორც შენ გეჭაშნიკება. აქ ყველაფერი მოულოდნელია, უცაბედი და გამარჯვების ჟამს შეცდომები ჩაიდუდის წყალს ეძლევა. მაშინ წამოყოფენ ხოლმე თავს შეცდომები, როცა საქმე დამარცხებით თავდება. შეცდომა ყოველთვის უნდა აღინიშნოს, მაგრამ, როდესაც მთელ მოძრაობას ერთ პარტიას ან, მით უმეტეს, ათიოდე გაიძვერას მიაწერა, ეს არც სინამდვილეს შეეფერება, არც სიმართლეს.

დიახ, პიესიდან საერთო შთაბეჭდილება ასეთია: მოძრაობა, რომელმაც დედა-მიწა აალაპარაკა, თითქოს რაღაც პამპულობა და მასხრობა ყოფილიყოს.

მაგრამ, ამას გარდა, პიესას უდის ის

არა სასიამოვნო სუნიც, რომლითაც თითქმის მთელი ჩვენი ახალი მწერლობაა გაჟღენთილი. ეს გახლავთ არად ჩაგდება მოწინააღმდეგეთა, რომელიც მოკლებულია ყველაფერს—ჭკუასაც, გონიერებასაც და მრავალ სხვა სიკეთესაც...

* * *

ამავე პიესის შესახებ „ზაკავკაზიე“-ში მოთავსებულია ლ. ყიფიანის წერილი: „ორ ფრონტზე“. ბ. ყიფიანი სწერს:

დრამატიული მწერლობის საწამლავი შესაძლებელია ისე გადაედოს ადამიანს, როგორც მაგალითად სკარლატინა, დიფტერიტი, სახადი, ხოლერა და უბრალო სურდოც კი. როცა მართენ გოთუა ცენზორათ იყო, მან იმდენი დრამატიული ნაწარმოები გადაღეჭა, რომ არაფერი გასაკვირია თუ მას დრამატიულ მწერლობის სენი გადაედვა.

თუ ვინმეს გაუქრილა თავში, ჩვენში ამას სერიოზულ, შემოქმედებითი ნიჭის გენიალობათ სთვლიან და ამგვარ ავათმყოფის გარშემო ფეხს იკიდებს განსაკუთრებული ატმოსფერა ლიტერატურულ-დრამატიულ მწერლობისა.

ასე დაემართა ბ. გოთუას დრამატიულ ნაწარმოებსაც.

ამ ნაწარმოებმა დამარწმუნა მე, რომ პიესის ავტორი დრამატიულ მწერლობის უბრალო ქავილითაც კი არ არის ავათ, ის სერიოზულათ არის ავათ.

ავათ არის «გეროსტრატის» ავათმყოფობით.

მთელი პიესა, რომელსაც ავტორმა სცენები უწოდა, წარსული, თავისუფლების დღეების უმსგავსო კარიკატურაა.

ახალ მოვლენილ დრამატურგის ახალ ნაწარმოებში ყველაზე მეტათ თვალსაჩინოა ერთი გარემოება: ავტორი ორ ფრონტზე თამაშობს. ის მიწასთან ასწორებს ერთი მიმართულების წარმომადგენლებს მარცხნით და ამავე დროს დრამატიულ კეტს სცემს მარჯვნით. ტიკინებათ გამოყავს „ამხანაგი“ პეტრე და ანდრია და ამით ის არწმუნებს მაყურებელს, როგორი ავტორია ის, როგორი რადიკალური სულიკოა.

ასეთი ორ-ორ ფრონტზე თამაში ჩვენთვის ნაცნობია ამ რეაქციონურ ხანაში. წარსული დღეების ჯერ კიდევ მოუშუშებელ იარებზე და შეცდომებზე ავტორის დაცინვა ყოველივე სარკაზმს მოკლებულია. ამ სიცილში გამოსჭვივის რაღაც საზიზღარი კილო, ვიღაცასთან ლაქუცი.

აი, ასეთ, უკაცრავათ პასუხია, პიესის ავტორს, ოფლში იწურებოდა და გაცხარებით ტაშს უკრავდა ქანდარაზე მყოფი რამდენიმე სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფე.

„მიუტევე უფალო, რამეთუ არ იციან, რასა იქმოდენ“.

ტყუილათ იცოდებს ბ. ყიფიანი არტისტებს. არტისტი, რომელიც პატივს სცემს, სცნობს და აფასებს იმ სცენას, რომლის სამსახურისთვის მას შეუწირავს თავი, არას დროს არ დასთანხმდება ასეთ პიესაში მონაწილეობის მიღებაზე. ჩვენ ვიცით ისეთი არტისტები, რომლებიც ჯარიმას იხდიან და მონაწილეობას არ ღებულობენ ისეთ პიესებში, რომლიც ეწინააღმდეგება მათ შეხედულებას. ბ. გოთუას პიესა კი, ყოველგვარ ეთიკას ეწინააღმდეგება. და არ მგონია, რომ ასეთი პიესების თამაშმა რაიმე შემატოს ჩვენი არტისტების დამსახურებითი სიას ან და ხელი შეუწყოს იმ თეატრის ამაღლება-გაძლიერებას, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 დეკემბერი.

ოსმალეთი.

სალონიკი. ზოგიერთი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები დაიხურა და მათ მაგიერ ახლები დაარსდა. ბოლგარეთის ზოგიერთი კონსტიტუციონური კლუბები დაიხურა, რადგან კანონს არ დაემორჩილენ. პრილეპში პოლიციამ დახურა კლუბი, მონასტირში ჩამოხსნეს განცხადება. ბიურო სამართალში მისცეს და დააჯარიმეს. მაკედონიის ბოლგარელებმა შეადგინეს პროექტი ახალ პოლიტიკურ პარტიის სახელწოდებით კონსტიტუციურ-პროგრესიული. ორი წინანდელი ბელადი კონსტანტინოპოლში წავიდა, რომ დაამტკიცებინონ წესდება და გაეცნონ ახალ ლიბერალურ პარტიის ბელადებს შეთანხმებით მოქმედებისათვის.

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. არდვინგის და გრაბასის ფირმის დიდ ბაზარზე, როცა იქ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი სავაჭროთ, ცეცხლი გაჩნდა. ჩამოინგრა სახლები. ჯერ-ჯერობით სამი მკვდარი აღმოაჩინეს ნანგრევებში.

სიდნეი. სამთო მუშების გაფიცვის გამო დღეს 70,000 მცხოვრები უსინათლოთ დარჩება.

ვენა. ზედა პალატამ ერთხმათ მიიღო კანონ-პროექტი დეპუტატთა პალატის ნაკაზის რეფორმის შესახებ. დეპუტატთა პალატის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო დროებით ბიუჯეტის კანონპროექტი.

კოპენჰაგენი. უცხოეთის გაზეთების ცნობების წინააღმდეგ ჯერ არაფერი გადაწყვეტილება არ მიუღიათ კუკის ქაღალდების და მის მოგზაურობის შესახებ. ხელთნაწერების გამოკვლევის შედეგს ორი კვირის შემდეგ გამოაცხადებენ.

სოფია. დაიწყო კამათი 1910 წლის ბიუჯეტის შესახებ. გასავალი უდრის 172,112 მილიონს.

კოპენჰაგენი. კუკის საბუთების გამომძიებელმა კომისიამ დაადგინა, რომ საბუთებში არავითარი დამტკიცება არ არის, რომ კუკმა ჩრდილოეთ პოლიუსს მიაღწია.

ბუქარესტი. მინისტრ პრეზიდენტ ბარატიანის მის სახლის კარებთან ერთმა მუშამ სამჯერ რევოლვერი ესროლა. ბარატინი მსუბუქათ დაიჭრა.

კოპენჰაგენი. კუკის შესახებ რიტცაუ იტყობინება, რომ კომისიამ ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთები ვერ ნახა მის დოკუმენტებში, თითქო ის ჩრდილოეთ პოლიუსამდე მისულიყოს. უბის წიგნაკებში არავითარი მასალა არაა ასტრონომიულ გამოკვლევის.

ლონდონი. ბაზარზე ცეცხლის გაჩენის დროს დაიღუპა ექვსი კაცი. ფიქრობენ, რომ ნანგრევებში კიდევ არიან დაღუპულები.

რუსეთი.

პეტერბურგი. ფინლიანდიის შესახებ საზოგადო სახელმწიფოებრივ კანონების გამოცემის შემმუშავებელი უმაღლესათ დამტკიცებულ კომისიაში კამათმა, რომელშიაც ერთი მხრით მონაწილეობა მიიღეს კორევო და დეიტრიხმა და მეორე მხრით არქიეპისკოპოსმა იოგანსონმა და პროფესორმა გერმანსონმა საბოლოოთ გამოარკვია, რომ კომისიის ამ ორ მხარის წევრებთა შორის შეთანხმება მოუხერხებელია. კორევომ აღნიშნა, რომ ფინლიანდიის წევრთა პასუხი აშკარათ მოწმობს, რომ მათი შეთანხმება შეუძლებელია, რომ რუსეთის ფინლიანდიისადმი სუვერენიული უფლების განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებით. მან მოიყვანა ლაბანდის აზრი, როგორც სახელმწიფოებრივ უფლობის მცოდნის. ლაბანდის აზრით არის ორი სახის უფლება: პირველათ ორი მოკავშირე სახელმწიფოების განსაკუთრებული უფლობები, მეორეთ განსაკუთრებული უფლებები ორი მოკავშირე სახელმწიფოსი, რომლებიც დამყარებულია მათ და იმპერიას შორის სეპარატიულ ხელ-შეკრულობაზე, ფინლიანდიას არა აქვს და არც ექნება მეორე კატეგორიის უფლება. მას შეეძლო ქონებოდა პირველი კატეგორიის უფლებები. დეიტრიხმა აღნიშნა, რომ ფინლიანდია რუსეთის პროვინციაა, რომელსაც მხოლოდ საოლქო სამმართველო აქვს, რუსეთის მიერ ნაჩუქარი. რუსულ პროექტს საფუძვლათ უდევს სახელმწიფოებრივი ძირითადი კანონები და უმაღლესი მანიფესტები. თუ რუსული პროექტი ძალაში შევიდა, ფინლიანდია არაფერს დაკარგავს, რაც მას აქვს. რუსეთს არ სურს ბორკილები დაადოს ფინლიანდიას, მას არ სურს შეაფერხოს კულტურა, ძალა იხმაროს პატარა ხალხზე. თავმჯდომარე ხარიტონოვმა სთქვა, რომ ფინლიანდია არასოდეს განსაკუთრებულ სახელმწიფოს არ შეადგენდა და არასოდეს დამოუკიდებლობით არ სარგებლობდა. სახელმწიფოებრივ კითხვებში ის უნდა დაემორჩილოს რუსეთის სახელმწიფოს კანონებს. თავმჯდომარე კომისიის რუს წევრებს მიემხრო და კრებაც დაიხურა. კრების დადგენილება მინისტრთა საბჭოს წარედგინება.

პეტერბურგი. დუმის ფრაქციების თათბირმა დაადგინა შობამდე განიხილოს სასამართლოს რეფორმები, ქალაქის უძრავ ქონებაზე ბაჟის დადების, 20 წვრილი კანონ-პროექტი და ექვსი შეკითხვა. სხდომები შეწყდება 19 დეკემბერს. გაიხსნება 20 იანვარს.

მთავარ ფოსტაში დაიჭირეს პოდპორუჩიკი გრომეინი, რომელმაც პოლკის ხაზინადრათ ყოფნის დროს 20,768 მ. გაიტაცა და გაიქცა. მას 6,753 მან. აღმოაჩნდა.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი

საბერძნეთის ჯარი. საბერძნეთის აფიცერთა კორპუსი მოითხოვს გერმანელ ინსტრუქტორთა დახმარებით საბერძნეთის ჯარში რეორგანიზაცია იქნეს მოხდენილი. 500-მდე აფიცერმა მთავრობას პეტიცია გადასცა ამის შესახებ. აფიცრები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ არტილერიის გაუმჯობესებას. პეტიციაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ საბერძნეთის სამხედრო გაუმჯობესება ახსნილი არ უნდა იქნეს, როგორც ოსმალეთის საწინააღმდეგო მოქმედება

საზღვარ-გარეთ

ავტომობილისტთა სამხედრო რაზმი. იტალიის სამხედრო სამინისტრომ ტურინის ქარხანას დიდ-ძალი ავტომობილები შეუკვეთა. ჯარის ყოველ ნაწილს ექნება განსაზღვრული რიცხვი ავტომობილებისა. ტურინის ქარხანამ მოკლე ვადაში სამხედრო სამინისტროს ჯერ-ჯერობით უნდა ჩააბაროს 520 ავტომობილი.

არაჩვეულებრივი ობსტრუქცია. სამი დეკემბრის სხდომაზე ჩეხმა დეპუტატმა კოტლიარემ რეიხსტაგში 13 საათი ილაპარაკა შეუწყვეტლათ—შუადღის 2 საათიდან ნაშუაღამევის 3 საათამდე. სიტყვის დროს დეპუტატი კონიაკსა და ჩაის მიირთმევდა. სიტყვის გათავების შემდეგ ექიმებმა დეპუტატი შეამოწმეს, რომელიც სრულიათ ნორმალურ მდგომარეობაში აღმოაჩინეს. ქანდარები ხალხით იყო გაჭედილი. 10 საათზე ხმა გავრცელდა, რეიხსრატს ალყა აქვს შემორტყმულიო. ეს ხმები გამოიწვია მუშათა დემონსტრაციამ, რომელიც ობსტრუქციის წინააღმდეგ გამართეს მიტინგის შემდეგ. საღამოს ორ საათზე ხალხში პროტესტის ხმა მოისმა. რეიხსრატში ჩოჩქოლი ასტყდა. ჩეხ და ნემეც დეპუტატებს შეტაკება მოუვიდათ. ორატორი სარგებლობს და ცოტა ხნით ისვენებს. ხალხი რეიხსრატიდან განდევნეს. ღამის 3 საათზე ლაპარაკი დაიწყო დეპ. ხოლიმ. მან გათენებამდე ილაპარაკა. ბევრი დეპუტატი იძულებული შეიქნა ღამე პარლამენტში გაეთია—წამოწვენ სავარძლებზე, მაგიდებზე და სკამებზე. თუთუნის საწევ ოთახში კარტის თამაში გაჩაღდა. 4 დეკემბრის სხდომაზე ჩეხმა დეპ. შპარეკმა ილაპარაკა 6 საათს, მეორე მისმა ამხანაგმა—8 საათს. დანარჩენმა დეპუტატებმა და მინისტრებმა მორიგეობა დააწესეს, რომ ობსტრუქციონისტების გრძელი სიტყვები მოისმინონ.

ობსტრუქციის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატებმა და პოლონელებმა გადასწყვიტეს შეუწყვეტელი სხდომები განაგრძონ შობამდე. სოციალდემოკრატები ჩეხელების ობსტრუქციით ძალიან უკმაყოფილონი არიან და აზრათ აქვთ მუშათა მასსიური დემონსტრაციები გამართონ.

რუსეთი.

გააგის კონფერენციის მოწვევა. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული წრეები ირწმუნებიან, რომ 1910 წ. გაზაფხულზე მოწვეულ იქნება გააგის კონფერენცია. კონფერენციის მოწვევის მიზეზი იქნება შეასუსტოს ომის მოლოდინით გამოწვეული შეუწყვეტელი მღელვარება, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები განიცდიან. კონფერენციაზე მოწვეულ იქნებიან სრულიად-ევროპის საპარლამენტო კავშირის წარმომადგენელნიც.

სარწმუნოების გამოცვლა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი ცირკულიარით დაადგინა, რომ მართლ-მადიდებელნი, რომელნიც სხვა სარწმუნოების მიღებას მოისურვებენ, ვალდებული არიან ამის შესახებ განცხადება გუბერნატორს ან პირადათ მიართვან, ან პოლიციის საშვალებით გადასცენ. პოლიცია ამა თუ იმ პირის სარწმუნოების გამოცვლის სურვილს მღვდელს (რომელი მრევლიდანაც არის სარწ. გამოცვლის მსურველი) აცნობებს. გუბერნატორი ერთი თვის განმავლობაში განცხადებას ადგილობრივ საეპარქიო მთავრობას აცნობებს.

კოლეგიალური წერილი. „რეჩში“ მოთავსებულია მაქსიმ გორკის, ბოგდანოვის და ლუნაჩარსკის წერილი, რომლის შინაარსიც აქვე მოგვყავს: „უკანასკნელი ხნის განმავლობაში ევროპის და რუსეთის პრესაში სისტემატიურ კომპანიას ეწევიან რუსსეთის მუშათა პარტიიდან ჩვენი გაძევების შესახებ. ამ კამპანიის ინიციატორებს ჩვენ არ ვიცნობთ, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ მასში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე პროვოკატორული ელემენტები. მაგ. „რუსკოე სლოვოში“ 18 ნოემბერს მოთავსებული წერილი პროვოკატორული ხასიათისაა.

ყოველი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ შემდეგი: 1) „ოტზოვიზმს“, რომელსაც ჩვენი ვითომდა პარტიიდან გაძევება დაუკავშირეს, მართლაც აქვს ადგილი პარტიას მარცხენა ფრთაში, მაგრამ, ერთი მხრით, არც ერთი ჩვენთაგანი არ გამოსულა პარტიაში, როგორც მისი მომხრე. მეორე მხრით, რამდენათაც ვი-

---

სტუდენტი ივანოვი.

(შემდეგი)

სადღაც შარმანკამ მწუხარე ხმით დაუკრა და ქალწულმა ზედ დაამღერა. ქუჩაში მიმავალ ჯარის კაცთა ფეხის ხმა ისმოდა, ჰკიოდა სადღაც ორთქლ-მავალიც.

თვალწინ ისევ ბევრი ხალხი სჩანდა. მიმოდიოდენ ისინი ნავაჭრი ნივთებით, მიმოდიოდენ ლამაზი, ახალგაზრდა ქალები, მათკენ იწევდენ კაცები, აჩერდებოდენ სახეში, შრიალებდა თანთსაცმელი და დიდი შლიაპები. თან და თან სიბნელით იმოსებოდენ.

ბევრი ქუჩები და სახლები გაიარა ივანოვმა, სანამ მივიდოდა დიდ, ექვს სართულიან სახლთან, რომელსაც მრავალი შესავალი უჩანდა. სჩანდნენ აგრეთვე საზამთრო ბალკონებიც. სახლის მისავალთან ბევრი საოჯახო ეტლები იდგა, ხოლო ჩასუქებული მეეტლენი ერთი მეორეს და ხანაც მეკარეებს ესაუბრებოდენ. ივანოვი კარებთან მივიდა და გაღება უნდოდა, მაგრამ ამ დროს წამოხტა ახალგაზრდა მეკარე და იმის წინ მოწიწებით გამოაღო კარი.

მეექვსე ნომერში ინებებთ?—ჰკითხა მეკარემ ღიმილით.

— არა, მე-10-ში, უკაცრავათ მე-12-ში, ასე რომ... წაილაპარაკა შემკრთალმა ივანოვმა.

— მე-5 სართული მარჯვნივ,—დაილაპარაკა მეკარემ და მის სახიდან ღიმილი უცბათ გაქრა და ხმაში სიმკაცრე გამოისმა.

ივანოვმა დაიწყო ასვლა ფართო ხალით მოფენილ და დათვებისა და სხვა ქანდაკებებით მორთულ კიბეზე. აიარა ერთი დერეფანი, აიარა მეორეც და უცბათ სული შეუგუბდა. გულმა სისწრაფით ცემა დაუწყო და თავბრუ დაეხვია. „როგორი დავსუსტდი“—იფიქრა მან და თავი გადააქნია. შემდეგ ხელ-ახლა სიჩუმით გაიმეორა: „როგორი დავსუსტდი“... და თვალებზე ცრემლები მოაწვა.

ცოტა ამოსუნთქვის შემდეგ ხელახლა დაიწყო კიბეზე ასვლა. აი, მე-12 ნომერიც და კარებზე მიკრული პტყელი სპილენძი ზედ წარწერით: დოქტორი მედიცინისა ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე გურიანოვი. მიღება 12-დან დღის ორი საათამდე. ივანოვმა წაიკითხა წარწერა და გაიფიქრა: „შეიძლება მიშველოს რამ ამან“... დარეკა. რბილათ დაიწკარუნა ელექტრონის ზარმა და თითქმის იმ წუთშივე ვიღაცამ კარი გააღო. ივანოვის წინ მოსამ. იდგა პირ-მოპარსული და შავ სერთუკში გამოწყობილი თეთრი ყელსახვევით.

— თქვენ ექიმთან გაკვეთილისათვის მობრძანდით? – სიჩქარით ჰკითხა მოსამ.

— აქ გაკვეთილები იყო გამოცხადებული... მაგრამ მოსამ. აღარ უსმენდა მას და ჩქარა, მწყრალი ხმით წაილაპარაკა: უკვე დაიჭირეს—და თან მოიხურა რა კარი, უცბათ რაზა გადაუგდო.

ივანოვი გაწითლდა და ნელის ნაბიჯით დაეშვა კიბიდან. მის შეხედვაზე ახლა მეკარე სკამიდან აღარ წამოდგა და აღარც კარები გაუღო, მხოლოდ რაღაც წაიბუტბუტა როცა ივანოვმა გასვლის შემდეგ მჭიდროთ კარები მოიხურა.

გირეთ წვიმას თქორვა დაეწყო და ღრუბლებით დაფარულ ცის ქვეშ რაღაც სიბნელე იდგა. მეეტლენი ეტლებს ხურავდენ და მომსვლელნიც ახლა უფრო ისწრაფოდნენ.

მდგომარეობა ივანოვის უფრო სასოწარკვეთილი, უფრო უიმედოთ შეიქნა. დარჩენილიყო ერთი ადგილი, სადაც მას კიდევ შეეძლო მისვლა, მაგრამ გრძნობდა, რომ იქაც არ აიყვანდნენ და ეს კი ეძნელებოდა, წარმოუდგა, რომ უცდიდა განაჩენი სიკვდილისა... და უცბად საშინელებად მოეჩვენენ შეკარენი, რომლებიც მას მტრულათ აჩერდებოდნენ. საშინელებათ მოეჩვენენ მოსამ., მეეზოვენიც და მოსამსახურე ქალებიც. საოცრებათ მოეჩვენენ ყველა ადამიანები. მან წარმოიდგინა, რომ თითქმის ამათ მიიყვანეს ის სიკვდილამდე, ესენი ჰკრავდენ ხელს სიკვდილისაკენ.

ეხლა ივანოვი უგულოთ კითხულობდა სახლების ნომრებს.

— „არ ამიყვანებენ, სულ ერთია, არ ამიყვანებენ“, ფიქრობდა იგი და უცბათ ერთ მიბნელებულ, რაღაც სევდით მოცულ სახლთან შეჩერდა. დიდ შუშიან ფანჯრის მახლობლათ გრძელ მაგიდას ხალხი ბლომათ შემოსხდომოდა. რაღაცას სწერდენ, ანგარიშობდენ. მაგიდის გარშემო მსხდომთაგან ერთმა ფერმკრთალმა, ხმელ-ხმელმა წამოსწია თავი და დაღლილი თვალებით ახედ-დახედა რა ივანოვს, ისევ წერას მიჰყო ხელი. მეორემ გაზეთით ხელში და სიგარით პირში მაგიდებს შორის გაიარა და ბნელ ოთახს მიეფარა. „უთუოდ აქ ყველა ადგილები დაკავებულია,— იფიქრა ივანოვმა,—და რაღა საჭირო ვარ მე“. ის მივიდა კარებთან, რომელსაც წარწერილი ჰქონდა: „გენერალური საზოგადოება“ და გამოაღო იგი. მის შეხედვაზე რაღაც საუცხოვო ფორმაში გამოწყობილი მოსამსახურე წამოდგა და გაკვირვებულ თვალებით შეაჩერდა მას.

— აქ მოსამსახურე უნდა იყოს საჭირო, გაზეთში იყო გამოცხადებული... —თქვა ივანოვმა.

— ეს მე არ ვიცოდი,—წაილაპარაკა მოსამსახურემ,—მაგისათვის მიმართეთ ბ. შოლცეს, იგია მაგგვარი საქმეების მმართველი.

— კარგი, მაგრამ სად შემიძლია მისი ნახვა?

— აი, გაიარეთ კანტორას და შემდეგ ოთახში ბრძანდება, მხოლოდ ინებეთ და პალტო გაიხადეთ.

— ეხლავე,—თქვა ივანოვმა და პალტოს გახდა დაიწყო, ჩამოკიდა ის საკიდარზე, მიბრუნდა და კანტორისაკენ გაემართა.

— მე ბ. შოლცეს ნახვა მინდა,—თქვა მან და შეაჩერდა მაგიდებთან მჯდომ ხალხს. რამოდენიმე წუთს ყველანი სდუმდენ. ხოლო შემდეგ ვიღაცამ წაილაპარაკა:

— შედით აი იმ კარებში,—აჩვენა კალმით და ისევ წერას მიჰყო ხელი.

ივანოვმა გაიარა მაგიდებს შორის და შევიდა დიდს, კარგათ მორთულ ოთახში. საწერ ქაღალდებით მოფენილ მაგიდასთან იჯდა ხანში შესული, საშუალო ტანის ჰაღარა კაცი და გაზეთს კითხულობდა. გაიგონა რა ნაბიჯის ხმა, წამოსწია თავი და ცქერა დაუწყო ივანოვს.

— თქვენ ბრძანდებით ბ. შოლცე?... —ჰკითხა ივანოვმა და თან მიუახლოვდა.

— დიახ, მე ვარ,—უპასუხა შოლცემ,—რა გნებავთ?

— მე მოვედი გავიგო რამ ადგილის შესახებ... გაზეთში წავიკითხე, რომ თქვენს კანტორაში საჭიროა მოსამსახურე... მგონია ვივარგებ...

ივანოვი შოლცეს პირდაპირ თვალებში უყურებდა და თან ფიქრობდა: „რომ ამიყვანოს ამან“, და გული რაღაც საოცარი სიმძლავრით უცემდა.

შოლცემ გაიღიმა.

— სამწუხაროთ, ადგილი უკვე დაკავებულია,—წაილაპარაკა მან.

ივანოვს ფერი დაეკარგა.

— დაკავებულია?—ხელ-ახლა იკითხა მან.

— დიახ, დაკავებულია. დილით რომ მოსულიყავით, შეიძლება მოუსწრებდით, მაგრამ არ ვიცი—მაშინაც აგიყვანდით თუ არა. თქვენ სტუდენტი ხართ და ჩვენ კი, მართალი უნდა გითხრათ, სტუდენტებს გავურბით.

— რისთვის?—ჰკითხა ივანოვმა.

ცით, „ოტზავისტების“ პარტიიდან გაძევებაზე კითხვა არავის წამოუყენებია. 2) ჩვენთვის გაუგებარია 19 ნოემბრის „რეჩში“ მაყვანილი ს. დ ფრაქციის დეპუტატების ნალაპარაკევი, ვითომ პარტიის ზოგიერთ წრეებში კითხვა აღიძრა ჩვენი პარტიაში დარჩენის შესახებ. ჩვენ ასეთი წრეებზე სრულებით არაფერი ვიცით, და, თუ ასეთები მართლა არსებობენ, სასურველი იყო, რომ აშკარათ გამოსულიყვენ.“ ამ წერილის გამო დეპ. გეგეჭკორს „რეჩის“ თანამშრომლისათვის განუცხადებია, რომ მისი სიტყვები გაზეთში ყალბათ იყო გამოქვეყნებული. ის უთანხმოება, რომელიც პარტიის ზოგიერთ წევრსა და მ. გორკის შორის არსებობს, საკმარისი საბუთი არაა ვისიმე პარტიიდან გაძევების შესახებ. ფრაქციების წევრთა შორის უთანხმოება— ყველა პარტიებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ჟურნალისტებთან ლაპარაკის დროს მონაწილეობას იღებდა დეპ. ჩხეიძეც, რომელმაც გეგეჭკორის სიტყვები დაადასტურა.

სასეიმო შენობა. მინისტრთა საბჭომ განიხილა ფინლიანდიის სანატის წინადადება ნება დაერთოს ფინლიანდიის სეიმს ახალი სასეიმო შენობის ასაგებათ 1909 წ. გადასდოს 500,000 მარკა განსაკუთრებილი ფონდიდან. მინისტრთა საბჭომ უარყო ფინლიანდიის სეიმის წინადადება.

შუამდგომლობა. სენატმა უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას მისი უდიდებულესობის სახელზე შეცვლილ იქნეს სენატის წესდების § 4, რომელიც მოითხოვს, რომ იურიდიულ ექსპედიციას სათავეში უდგას სასამართლოს ცენზის მქონე სენატორი. სენატორების ახალ შედგენილობას არც ერთი ასეთი ცენზიანი წევრი არ მოეპოება.

შეკითხვის გამო. გლეხმა სოზინოვმა გაზეთებში კორესპონდენცია მოათავსა „ნედოიმკების“ აკრეფის დროს გლეხების ცემის შესახებ კოტელნიკის მაზრაში. ეს კორესპონდენცია დეპუტატებმა მასალათ გამოიყენეს დუმაში შეკითხვის შეტანის დროს. ადმინისტრაციის განკარგულებით გლეხი სოზინოვი ამის გამო გუბერნიის საზღვრებიდან გააძევეს. სოზინოვმა სამინისტროს თხოვნით მიიართა: პასუხის გებაში მიმეცით თუ ჩემ მიერ გამოქვეყნებული ფაქტები ნამდვილი არ გამოდგებაო. გუბერნატორმა სოზინოვს აცნობა, სამინისტრომ შენი თხოვნა არ შეიწყნარაო.

საბიუჯეტო კომისიაში. საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე გენერალ პოლივანოვმა სთქვა, რომ მინისტრთა საბჭო ახლო მომავალში ინსტრუქციებს შეიმუშავებს, რომლის ძალითაც სამხედრო სამინისტროს შეეძლება კრედიტით ისარგებლოს სახელმწიფო დუმისაგან დამოუკიდებლათ.

დუელში გამოწვევა. „ნოვოე ვრემია“ გვატყობინებს, რომ ვიღაც ჟანდარმთა როტმისტრმა გენ. კურლოვს სთხოვა, ნება მომეცით დეპუტატი ბობიანსკი დუელში გამოვიწვიოო, ბობიანსკიმ სიტყვის დროს პატივით არ მოიხსენია ჟანდარმთა კორპუსი. ამის შესახებ მილიუკოვს და მაკლაკოვს უთქვამთ, რომ ბობიანსკი დუელში არ გავაო. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ დეპუტატები მუდამ დუელში გაწვევის შიშს უნდა განიცდიდენ, რადგან ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება კერძო პირთა და დაწესებულებათა კრიტიკაო.

10,000,000 მ. ჯარის რეფორმაზე. საბიუჯეტო კომისიის დახურულ კრებაზე დაადგინეს სამხედრო სამინისტროს 10,000,000 მანეთი მიეცეს ჯარის რეფორმის მოსახდენათ.

წერილები სპარსეთიდან

16

ქალაქი თეირანი

აქედან წავედით პარლამენტში. ჩვენ შევუხვიეთ ზილი-სალთანეს სასახლესთან, საიდანაც იწყება მეჯლისის ძლიერ განიერი ქუჩა. ზილი-სალთანეს სასახლეს საუცხოვოთ მორთული შესასვლელი კარების მაღლა სახურავი და კედლები ზარბაზნის ყუმბარებით არის დანგრეული. ახლო-მახლო სახლები დახვრეტილია ტყვიებით, რომლის სიმრავლე მოწმობს, რომ აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ყოფილა. ორასი საჟენის სიშორეზე მოსჩანს მთელ თეირანში საუკეთესო შენობა, რომლის გარშემო მოზრდილი ბაღია მაღალ გალავან შემოვლებული. მისასვლელ ალაგზე მოედანია, მეჯლისის აღმოსავლეთით დიდი მეჩეთია, რომელსაც საუცხოვოთ აყვანილი რამდენიმე მაღალი სვეტი ნიშნით თავს ადგას. მეჯლისის მარჯვენა მხარეს შკოლაა, რომლის წინა კედლები დახვრეტილ-დანგრეულია ტყვიებით. ამ შენობაში რამდენიმე მოსწავლე ახალგაზდობა მოჰკლეს, რომ თავისუფლების აზრი არ გავრცელებულიყო. მეჯლისის ჩრდილოეთით ორ-სამ საჟენიანი გალავანი და მაღალი წინა კედელი შენობის ყუმბარებით მიწასთან არის გასწორებული, რომელსაც ეხლა აშენებენ. შიგ კარებში რვა ზარბაზანი დგას დროშით და შიგ შენობას ხელ-ახლა აშენებენ.

მეჯლისის დანგრევის დროს არ გადარჩენილა არავითარი ავეჯეულობა. გალატაკებულმა შეუგნებელმა ბრბომ წაიღო და გაიტაცა უკანასკნელი აგურიც კი.

მეჯლისის შენობას კვლავ იმავე ადგილს, იმავე საძირკველზე აშენებენ, სადაც ამ ერთი წლინახევრის წინათ მიწასთან გაასწორეს, სისხლის გუბები დააყენეს. მუშები გამალებული მუშაობენ და იჩქარიან შენობის მოთავებას.

საღამოს ვესტუმრეთ დეპუტატ თალიზადეს; აქ შეკრებილი იყვენ თავრიზელი დეპუტატები, რომლებიც ბარიკადში იბრძოდენ და ეხლა კრება ქონდათ. ესენი თავიანთ გარშემო ძალებს აგროვებდენ და მემარცხენე ჯგუფის შედგენას ცდილობდენ პარლამენტში. მათ გვთხოვეს გვევლო მათთან და სიყვარულობით გამოგვაცილეს ჩაის შემდეგ.

საღამოს ცხრა საათზე წავედით ეიდარხანისას, სადაც კრება იყო ზოგიერთ ახალ მოსულ მუსულმან სოციალდემოკრატების და ძველ მომუშავე „იშთმათ აშუი“ ორგანიზაციების წევრების. „იშთმაი აშუი“ სოც.-დ-ტია. ეს სახელი სპარსეთის რევოლიუციონერებმა მიიღეს მათ კონგრესზე ლენქორან-მეშეთში. რადგან სპარსეთის რევოლიუციაზე დიდი გავლენა ქონდა კავკასიას და აქ კი ს.-დემოკრატების გავლენა დიდი იყო, ამიტომ „ახალგაზრდა“ რევოლიუციონერებმა ეს სახელი გადიღეს და ს. დ. ფირმით იწყეს მუშაობა სპარსეთში. ზოგ წევრებს ასე თუ ისე ესმოდა ამ პარტიის ნამდვილი შინაარსი, ზოგი მუსულმანი კავკასიაში მომუშავენი ს. დ. ტრადიციას ემორჩილებოდა და დღეს, როდესაც პარლამენტი იხსნება, ყველა ჯგუფი და ახლათ ჩასახული კლასები ცდილობენ თავიანთი პროგრამით წარსდგენ ხალხის წინ.

თვით „იშთმაი აშუის“ (ს. დ.) წევრებისათვის გაუგებარი დარჩა წმინდა ს. დ. ტაქტიკის წარმოება, ცხოვრებაში გატარება. დღემდის ამ ფირმას ყველა თავს აფარებდა და ძველ წესწყობილებას ებრძოდა; მათ ხელში სოციალდემოკრატიული სახელი ძლიერი იარაღი იყო, რადგან სოციალდემოკრატების რევოლიუციონური გამოსვლები, ყუმბარების გრიალი, მათი ტაქტიკა-მოქმედება სპარსელ რევოლიუციონერებს ფრთას ასხამდა, ენერგია-ძალას მატებდა.

დღეს კი, ხალხს სრული დემოკრატიული თავისუფლება აქვს, მხოლოდ მისი მოხმარაა საჭირო და რომელი კლასია ს.-დ. მატარებელი, ვეღარ გაუგიათ. მილიონერი, მდიდარი, ღარიბი, მოლა— ყველა უკმაყოფილო შახის მთავრობის, ს.-დ. სახელის მატარებელია და ცხოვრება კი მათ ცალკე კლასებათ ანაწილებს.

კრებაზე იყვენ: ძველი „იშთმაი აშუის“ წევრები: ეიდარხანი, რახიმ-ზადე, კავკასიაში მომუშავე ს.-დ. წევრნი იბრაგიმი —მეუმცირესე და მეუმრავლესე „ირან ნოს“ (ახალი სპარსეთის) რედაქტორი ახალგაზრდა რასულ-ზადე და ერთიც ახალგაზრდა ბაქოს მომუშავე ს.-დ. მუსულმანი. დაფასებულ იქნა სპარსეთის საერთო მდგომარეობა შეძლებისამებრ თითო ორატორისაგან შემდეგ წამოაყენა რეზოლიუცია რასულ-ზადემ: „რადგანაც სპარსეთში არ არის წარმოება, ქარხანა-ფაბრიკა, არ არის პროლეტარიატი, რადგან სპარსეთში არ არის ინტელიგენტური ძალები, რაც არის იმათი ცალკე დაქსაქსვა გააძლიერებს რეაქციონერებს; ხალხს არ ესმის არავითარი პარტია და თუ „იშთმაი აშუი“ მუშაობდა ს.-დ. სახელით, ეს იყო ფიქცია, ამიტომ ჩვენ, სანამ აქ გაჩნდებოდეს წარმოება და ნამდვილი პროლეტარიატი, ვმუშაობთ, როგორც დემოკრატები, ვაარსებთ წმინდა დემოკრატიულ ორგანიზაციას, ს.-დ. პროგრამა-მინიმუმს მთელათ არ ვისახავთ დღეს მიზნათ, მარა უმთავრეს მის მუხლებს ვანხორციელებთ შეძლებისამებრ და თქვენც შემოდით ამ პარტიაში“-ო.

მეორე რეზოლიუცია იყო იბრაგიმის: რადგან ამ პარტიამ (ს.-დ.) პირველმა აღმართა აქ დროშა, ამ პარტიას შეეზარდ-სისხლხორცა ხალხი და შექმნა ტრადიცია, რადგანაც თავრიზში უკვე არსებობდა ნამდვილი ს.-დ. ჯგუფი, რომელმაც მიიღო ს.-დ. პროგრამა, საზღვარ-გარეთის რევოლიუციონური სპარსეთის ც. კ. ს.-დ. ბეჭდით მოქმედებს და ინტერნაციონალის შემწეობით სხვადასხვა პროტესტს აცხადებს, ამიტომ ჩვენ ვაარსებთ აქ წმიდა სოც.-დემოკრ. პარტიას, ვიძენთ წევრებს, ვმართავთ რეფერატებს, კრიტიკას ვუკეთებთ პარლამენტის მოქმედებას ამ პარტიის სახელით, ყოველ მის ოპოზიციონურ ფეხის ნაბიჯს მხარს ვუჭერთ და ვაწარმოებთ პარლამენტში დამოუკიდებელ პოლიტიკას, თუ კი ასეთი დეპუტატები აღმოჩნდებიან, ვაკეთებთ ყველა დემოკრატიულ საქმეს, კულტურულ-განმანათლებელ წრეებში, თეატრში, ცხოვრებაში, მარა ჩვენ ამავე დროს ვატარებთ ჩვენ სახელს და ნიადაგს ვუმზადებთ სპარსეთის პროლეტარიატსო.

რადგან ხმები შუაზე გაიყო, ამიტომ რასულ-ზადემ შესწორება შეიტანა: დემოკრატიის ორგანიზაციის წევრებათ თუ არ ჩაეწერებით (რომელიც უეჭველათ დაარსდება), მაშინ ნუ დააარსებთ ცალკე წმიდა ს.-დ. ორგანიზაციას, რადგან დღევანდელი წამი საშიშო წამია სპარსეთისა, ს.-დ. ორგანიზაციის დაარსება დაასუსტებს დემოკრატიის ძალას პარლამენტში და თითო-ოროლა დეპუტატი, რომელიც შეიძლება მიემხროს ს.-დ-ებს საინტრიგოთ გამოიყენებენო. რადგანაც შეთანხმება არ მოხდა, კითხვა ღიათ დარჩა და ყველამ თავისუფალი სამოქმედო უფლება დაიტოვა. წმინდა დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსების მომხრე დარჩა: ეიდარხანი (ეს უძლიერესი მუშაკი „იშთმაი ამუის“ წევრი) რასულ-ზადე—ეს ერთათ-ერთი გავლენიანი გაზეთის რედაქტორი და ახალგაზრდა ბაქოელი მუსულმანი. რახიმზადე-იბრაგიმ და ერთმაც არ მიიღეს მათი წევრობა, მარა აღუთქვეს მათთან ერთათ მუშაობა ყოველ კულტურულ დემოკრატიულ საქმეში. ს.-დ. ბეჭედი კი, რომლითაც სარგებლობდა „იშთმაი ამუის“ პარტია, დარჩა ეიდარხანს, ხოლო ყოველივე ეს ეცნობა საზღვარ-გარეთელ სპარსეთის ცენტრალურ კომიტეტს და იქიდანაც მიიღეს ახალი ბეჭედი, რომელიც ჩაუვარდა შემთხვევით ხელში ეიდარხანს.

ვლასა მგელაძე

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

სახალხო კითხვების მომწყ. საზ. გამგეობამ გაარჩია თხოვნა სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ თეატრალურ სექციისა ავჭალის აუდიტორიაში წარმოდგენების მართვის ნებართვის შესახებ და დაადგინა: მიეცეს სექციას წარმოდგენების გამართვის ნება თუ სექცია წარმოდგენას სახალხო კითხვების საზ. სახლით გამართავს და არა სახალხო უნივერსიტეტის სახელით.

◆ **სამგლოვიარო დეპეშა.** დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის გარდაცვალების გამო თფილისის არტ. საზოგადოების წარმომადგენელმა დოლუხანოვმა სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა განსვენებულის შვილს, დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს.

◆ **მომავალი სიეზდი.** თფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა მომავალ წელს, მთელი რუსეთის ექიმთა სიეზდი თფილისში მოხდეს.

◆ **ექიმების სიეზდი პეტერბურგში.** თფილისის ქალთა უმაღლეს კურსების მიერ ექიმთა და ბუნების მეტყველთა სიეზდზე დასასწრებლათ არჩეულია ბ-ნი ხარიჩკოვი, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება პეტერბურგს.

◆ **ჟურნალისტი ლ. ყიფიანი** თფილისის საოლქო სასამართლოს დადგენილების თანახმათ, შეპყრობილია და ამ ჟამათ 7 დღით სასჯელს იხდის ჰაუპტვახტში. ყიფიანს პრესაში სახაზინო თეატრის დირექტორ აკიმოვის შეურაცხყოფა დაბრალდა.

◆ **ახალი წყლისსაყვანი.** თფილისის ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა არტილერიის ქუჩაზე მცხოვრებთათვის წყლისსაყვანი მილების გასაყვანათ. გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ინჟინერ ქურდიანს მიენდო.

◆ **შუამდგომლობა.** გუშინ ქალაქის გამგეობას თხოვნით მიმართა საზოგ. „შუქურთის“ წარმომადგენელმა, რათა გამგეობამ ჯარიმა აპატიოს ხსენებულ საზოგადოებას, რომელსაც ქუჩების განათების საქმეში დაუდევრობა ბრალდებოდა.

◆ **ს. თელაპსოპიდან** (თიან. მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ ძლიერ გავრცელებულია ავათმყოფობა ყვავილი. ამის გამო თიანეთიდან ამ სოფელში ექიმი და ფერშალი გაიგზავნა.

◆ **გაზეთების არ გამოსვლა** უქმეების გამო, გუშინ, 9 დეკემბერს სომხური არც ერთი გაზეთი არ გამოსულა.

— იმისთვის, რომ არა საიმედო ხალხი ხართ და სამსახურიც თქვენთვის შეუფერებელია.

— რატომ?.. მე ვეცდებოდი..—სთქვა ივანოვმა.

— მე ვიცი, რომ ეცდებოდით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რაღაც უხერხულია... ის შემობრუნდა რბილ სკამზე და განაგრძო: თქვენი საზრუნავი უფრო სხვაა და ჩვენი სამსახური კი უბრალოა და უმნიშვნელო.

— ჩემთვის, გაჭირვებულისათვის, ყოველგვარი სამსახური გამოდგებოდა,— მიუგო ივანოვმა.

— ვინც მსახურებენ, ყველანი გაჭირვებულებია,—სიცილით წარმოსთქვა შოლცემ,—ვისაც არა უჭირს რა, ისინი სეირნობენ.

— იქნებ სხვა სამუშაო გქონდეთ რამ?—ისევ იკითხა ივანოვმა.

შოლცემ ხელ-ახლა ჩაიცინა.

— მე უკვე გითხარით, რომ სტუდენტებს ჩვენ გავურბით,—და დაათავა რა ეს სიტყვები, ცნობის მოყვარეობით გადახედა ივანოვს და დაუმატა:—რატომ მაინცა და მაინც ჩვენთან სამსახური მოგისურვებიათ? უფრო შესაფერი არ იქნება გაკვეთილები აძლიოთ ან მხატვრობით იმეცადინოთ?..

— ყველგან ადგილები დაკავებულია. მე დავრბივარ მთელი დღეობით, მაგრამ ამაოდ, ვერსად ვერაფერს გავხდი.

— რა უყოთ, დღეები ცოტაა, უნდა ფეობით ეძიოთ—თქვა შოლცემ.

— მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვეძებ, მაგრამ წესიერს ვერას შევეყარე და ახლა კი ჩემი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია, საშინელებაა...

შოლცემ მოუკიდა გამქრალ სიგარას და თვალები ივანოვს მიაშტერა.

— თქვენ გაკვეთილებს აძლევთ?—სერიოზული კილოთი ჰკითხა მან და რაღაც ყურადღების გამომეტყველი სახე მიიღო.

— უკვე ოთხი წელიწადია,—თქვა ივანოვმა და გულში იმედმა უფეთქა. „რომ ამან წინადადება მომცეს გაკვეთილისა?— მოხდება მხოლოდ ცხოვრებაში, რომ უცნობი კაცი უცბათ წამოგეშველება კაცს“.

— მე გამოცდილი მასწავლებელი ვარ. ბევრმა ჩემმა მოწაფეებმა გიმნაზიის კურსი დაამთავრეს,—წარმოთქვა ივანოვმა და თან რაღაც მოლოდინით შეაცქერდა შოლცეს და ფიქრობდა: „რაა, მიშველე, მომეხმარე“.. შოლცე გაჩუმდა და თითქოს რაღაცას ისაზრებდა, მაგრამ უცბათ სახე გამოუცოცხლდა, ტუჩებზე ღიმილი გადაეკრა. ამავ წუთში ივანოვის ყურამდე მიაღწია წინ, მისასვლელი ოთახიდან მომდინარე მაღალმა, მხიარულმა ხმამ ქალისა და კაცისამ.

— რა თქმა უნდა, აქ არის, ნამდვილათ აქ არის,—ამბობდა ქალი.

— აბა, წადი, წინ წადი,—ეუბნებოდა კაცი.

როგორც იმათ ხმაში, ისე მათს ქცევაშიაც ივანოვს მათი ახალგაზრდობა, ბედნიერება და კარგათ ჩაცმულობა წარმოუდგა. წუთს შემდეგ შოლცეს კაბინეთში სწრაფათ შემოვიდა ახალგაზდა ქალი ქუსლების ბრახუნით, ხელსათბობით და დიდი შლიაპით. ქალს უკან მოსდევდა კარგი შეხედულობის რუხვ ტანისამოსში გამოწყობილი. ოთახი მშვენიერი სურნელებითა და აივსო, ისინი მხიარულათ იღიმებოდენ და თან შოლცეს მიჩერებოდენ.

— აი სად ყოფილა, სად ყოფილა... ამბობდა ახალგაზდა ქალი, მივიდა რბილი სკამიდან წამომდგარ შოლცესთან და ნაზათ გაუწოდა მას იის ფერ ხელთათმანში შეხვეული ხელი, რომელზედაც მხიარული ღიმილით სახე გაბრწყინვებული შოლცე მაშინვე ეამბორა.

— ძლივს, ძლივს შემოიარეთ—სთქვა შოლცემ, მიესალმა ქალთან შემოსულ კაცს და ორთავეს სკამები შესთავაზა. ყველანი მაგიდას შემოუსხდენ და რაღაცაზე გაცხარებულათ ლაპარაკობდენ და თან იცინოდენ. იცინოდა შოლცე, იცინოდა ახლ მოსრული კაციც და ერთი მეორეს რაღაცას თითით ემუქრებოდენ.

ივანოვს თავი აქ სრულიად მეტათ მოეჩვენა. შოლცე მას აღარც კი უყურებდა და თითქმის გადაავიწყდა კიდეც მისი იქ ყოფნა. იგი მთლად გაიტაცა მოსულებთან საუბარმა და მისი სახე რაღაც ბავშური სიცხოველისა და არა ჩვეულებრივი მოძრაობის გამომეტყველი გახდა. ის მალ-მალ იცვლიდა მუხლს მუხლზე და თითქმის შეუწყვეტლათ იღიმებოდა. „ეხლა ამას ჩემთვის აღარ სცალია“—გაიფიქრა ივანოვმა და უცბათ მთლად სევდამ აიტანა იმისი გული. წარმოუდგა, რომ ახლად მოსული ქალი და კაცი თუ ცოტა გვიან მოსრულიყვენ, მაშინ შოლცე შეიძლება მეტის ყურადღებით მოექცეოდა მის მდგომარეობას, ხოლო ახლა კი, სრულიადაც აღარ იგონებს. მან დაინახა თავისი თავი მარტოდ მარტო მაგიდის ბოლოს, მოლაპარაკეთაგან სრულიად უყურადღებოთ დატოვებული. მან დაინახა თავისი მოლოდინი, გამხდარი და ფერმკრთალი სახე, თავისი გახუნებული ტუჟურკა, გაცვეთილი შარვალი, გატალახიანებული ფეხსაცმელი და ნელა ჰკითხა შოლცეს:

— თქვენ გინდოდათ რაღაც გეთქვათ.. და მისმა სიტყვებმა რაღაც საოცარი ხმაურობა გამოიღო...

სავარძელში მჯდომმა ახალგაზდა ქალმა მისკენ წამოსწია ლამაზი გრძელ წამწამებიანი მტრედისფერი თვალები და დაათვალიერა მისი სახე, ტუჟურკა და ფეხები... რაღაც ზიზღის ღმეჭამ გაიელვა მის ლამაზ სახეზე. შეხედა ქალის გვერდში მჯდარმა კაცმაც, მაგრამ შეხედა რაღაც ჩვეულებრივი გულგრილი თვალებით, რომელიც მეტყველებდა: „მთხოვნელია“. შემდეგ კაცმა კედლებზე ჩამოკიდებულ ხალებს დაუწყო დათვალიერება.

შოლცეს სახემ უცბათ უკმაყოფილო, მაგრამ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— მე თქვენ უკვე გითხარით, რომ ჩვენ არა გვაქვს რა.

— მაგრამ თქვენ ახლა ეს იყო..

— უკაცრავათ,—გააწყვეტინა შოლცემ,—მე, ახლა საქმე მაქვს და შენი სალაპარაკო დრო აღარ მრჩება.

ივანოვი გაწითლდა და მოსულმა ქალმა და კაცმაც უკმაყოფილო, ოდნავ გაკვირვებული თვალებით შეხედეს მას.

შემდეგ იგი კარებისაკენ გაემართა და წარმოუდგა, რომ მას ყველანი ზიზღით უყურებდენ.

— ადგილის სათხოვნელათ მოვიდა,— მოესმა როცა კანტორაში გამოვიდა და შოლცეს ხმა,—მთელი 15 წუთი ჩემთან ლაპარაკობდა...

„ყოველივე დაიკარგა, ყოველივე დაიკარგა“,—ფიქრობდა ივანოვი, არავის არა აქვს საჩემო საქმე, არავის... იმან ხელახლა გაიარა მაგიდებს შორის და გამოვიდა წინა ოთახში. მოსამსახურე ახლა დივანზე იჯდა და იასაულს, რომელსაც კონვერტები მოეტანა, რაღაცას ელაპარაკებოდა. ივანოვის შეხედვაზე ისიც და იასაულიც გაჩუმდნენ და გულგ-რილი ხედვით ცქერა დაუწყეს მას. უყურებდენ როგორ იცვამდა პალტოს, როგორ იბნევდა ღილებს და როგორ იხურავდა ქუდს. უცქეროდენ როგორ აღებდა კარებს და როგორ იჭერდა მას, რომ სიმძლავრით არ დახურულიყო. ბოლოს ხელ-ახლა ერთი მეორეს დაუწყეს ლაპარაკი...

რ. ლეჩხუმელი.

(შემდეგი იქნება)

◆ **საბჭოს სხდომა.** დღეს, 10 დეკემბერს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელიც განაგრძობს 1910 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას.

◆ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** ამ ჟამათ სულ 220 მსმენელია. ამათგან, საბუნებისმეტყველო განყოფილებაში—83; ისტორიულ განყოფილებაში 137: ეროვნების მიხედვით,—73 რუსი, 65 ქართველი 60 სომეხი,—8 · ებრაელი, 7 ნემეცი, 5 მუსულმანი და 3 პოლიაკი. ამათ შორის სასწავლო ფული არ გადაუხდია 40. ამ ჟამათ კურსების დამაარსებელთ მოლაპარაკება აქვთ გამართული პროფესორებთან, რომელთაც მიიწვევენ ფილოლოგიურ და საისტორიო ფაკულტეტებზე ლექციების წასაკითხავათ.

◆ **შიმშილობა ქუთაისის გუბერნიაში.** ს.-დემოკრატიულ ფრაქციას შეკითხვა შეაქვს სახელმწიფო დუმაში ამ ჟამათ ქუთაისის გუბერნიაში არსებულ შიმშილობის შესახებ. (რ. უ.)

◆ **სომხ. საქველმოქმედო საზოგადოების** გამგეობის მიერ ამას წინათ აგრონომი იქმნა გაგზავნილი ბაიაზეთის მაზრაში ადგილობრივ სამეურნეო მდგომარეობის გამოსარკვევათ და შესასწავლათ. აგრონომმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა ხსენებულ საზოგადოებას, რომელშიაც ის ამბობს, რომ ადგილობრივ ხალხის მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა ყოველ სკოლასთან დაარსდეს აგრონომული განყოფილებები, დაარსდეს სოფლათ ნოხის საქსოვი სახელოსნოებიო და სხვა.

◆ **იურისტების კრება.** პარასკევს, 11 დეკემბერს, თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში მოხდება თფილისის ვექილთა კრება, სადაც ე. ი. ანტუშევიჩი წაიკითხავს რეფერატს: „ვექილობის ზნეობის საფუძველნი“.

◆ **ცეცხლი.** სამშაბათს, 8 დეკემბერს, დილის 8 ნახ. საათზე, მიხაილოვის ქუჩაზე; ა. პარამბეკოვის სახლს მტკვრის მახლობლათ, ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მოედო ფ. გაუხის და დ. რაკოვის ხის ავეჯეულობის სახელოსნოებს. ცეცხლი სხვა მახლობელ სახლებსა და სავაჭრო მაღაზიებსაც მოედო. დაიწვა სახელოსნოები, ხის ავეჯეულობა და ბევრი სხვა ხელ-საწყო იარაღები. მეპატრონეების განცხადებით, ზარალი შემდეგია: მაუხის ზარალი—10,000 მ., რაკოვის, 30,000 მ., სახლის მეპატრონე პარუნბეგოვის—20,000 მ., ბათუმის ვაჭრის ხაჩატუროვის 50,000 მ., შენობები, მაღაზიები და ნივთები დაზღვეული არ არის.

◆ **ლექსთა კრებული.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი ლექსთა კრებული, შედგენილი ½ა. განჯის კარელის მიერ. წიგნი შეიცავს 31 გვერდს და ღირს 5 კაპ.

◆ **ჟურნალი „ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომელიც ჩვეულებრივათ შინაარსიანათ და სუფთათაა გამოცემული.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში სამწუხაროთ შემდეგი შეცდომა შეგვეპარა. ამ ნომერში დაბეჭდილია ვ. რუხაძის ლექსი. ეს ლექსი შეცდომით აიწყო, იმ ფურცლიდან, რომელზედაც მეორე ლექსი იყო ასაწყობი იმავე ავტორის. უნდა აწყობილიყო ეს მეორე ლექსი და არა ის, რომელიც დაიბეჭდა, რადგან ის უკვე დაიბეჭდა წინათ ჩვენი გაზეთის მე-18 ნომერში.

ბ ა თ უ მ ი.

—

დღემდე ბათუმის საზოგადოება მოკლებული არის ისეთ კულტურულ დაწესებულებას, როგორიცაა სამკითხველო. ერთათ-ერთი, გოგოლის სახელობაზე დაარსებული, სამკითხველო, რომელიც ქალაქის საბჭოს შენობაშია მოთავსებული, მუშებისა და საზოგადოთ „დაბილი“ ხალხისათვის სიშორისა თუ სხვა მიზეზებისა გამო ხელმიუწდომელია. ესეც არ იყოს, ერთი სამკითხველო და ისიც ფასიანი, ბათომის საზოგადოების მესამედსაც ვერ დააკმაყოფილებს, ასეთი დიდი ნაკლის ასაცილებლათ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობამ დაადგინა გახსნას უფასო სამკითხველო მუშათა უბანში. მუშებმა უკვე იწყეს წევრებათ ჩაწერა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბათომის საზოგადოება თავის წვლილს არ დაიშურებს და დახმარებას გაუწევს გამგეობას ამ კულტურულ საქმის მოწყობაში, რომელსაც ამ ჟამათ, სამწუხაროთ, საკმაო თანხაც არ მოეპოვება, რომ ეს საქმე საზოგადოების დაუხმარებლათ მოაწყოს და შეინახოს.

— ამ სამი კვირის წინათ აქ ლექცია წაიკითხეს ბ-ნმა აღნიევმა ბოტანიკაზე და ექიმმა ბ-ნმა პაპისოვმა სიფილისზე, ორივე ლექცია შინაარსიანი და გასაგები იყო, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ლექციის დათავება ვერ მოასწრო. თუმცა შეგვპირდენ შემდეგისთვის, მაგრამ ჯერ არაფერი ისმის.

— 30 ნოემბერს აქ ჩამოვიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი, რომელიც ბათომის სასწავლებლებს რევიზიას უკეთებს.

— ახლათ გაწვეული სალდათები უკვე მოგროვდენ ბათომში და დეკემბრის 6—7 იგზავნებიან რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში.

დოსტი.

სოფლის მასწავლებლები.

დასასრული.

რა უნდა მოვსთხოვოთ ჩვენ იმ მასწავლებელს, რომელიც იმის მაგიერ, რომ ხალხში რაიმე სწავლა-განათლება შეიტანოს და მით შემუსროს ცრუმორწმუნეობა, თითონ გარბის მკითხავ დედაკაცთან და ეკითხება: ამა და ამ ალაგს მე ზედამხედველათ დამნიშნავენ თუ არაო!.. მკითხავიც არწმუნებს, რომ —„ერთი შავგვრიმანი მაღალი და მეორე წითური დაბალი კაცი გიშლის ხელს, მაგრამ თუ ვეცდები ალაგი შენიაო“. ისიც, (მასწავლებელი) გარბის ინსპექტორთან თხოვნით ხელში... ყველა ეს სასაცილოა, სამწუხაროც რომ არ იყოს. რა თქმა უნდა, ყველა ასეთები არ არიან. არიან ისეთებიც, რომლებსაც ესმით თავიანთი მოვალეობა და სძიმე უღელს სინიდისიერათ ეწევიან, მაგრამ ასეთები გაცილებით ნაკლებია ვინემ პირველები.

კარგ, მუყაით და შეგნებულ მასწავლებელს კი დღეს ბევრი რამ კარგის, ხალხისათვის სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია. ვინ უნდა იზრუნოს სოფლებში სამკითხველოების და საკვირაო სკოლების გახსნაზე თუ არა მასწავლებლებმა? თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია დღეს სამკითხველოს და საკვირაო სკოლას, ამაზე ლაპარაკიც მეტია. რომ გული გულობდეს, საქმე ადვილი მოსაწყობია და დღეს მინგრეულ-მონგრეული სამკითხველოს შენობები, როგორიც არის: ბახვში, ასკანაში, აკეთში და სხვაგან, კვლავ გაცოცხლდებიან და დროებით მიძინებულ ცხოვრებას, გამოცოცხლების ნიშან-წყალი დაეტყობა...

მე მახსოვს ჩვენში ასეთი მასწავლებლებლები. ისინი არავითარ დაბრკოლება-სიღარიბეს არ აქცევდენ ყურადღებას, ოღონდ ხალხსათვის რაიმე სარგებლობა მოეტანათ. საღამოობით, საკვირაო სკოლაში ყანის მუშებს აგროვებდენ და ამწავლიდენ წერა-კითხვას, ანგარიშს, უხსნიდენ ბუნების მეტყველებიდან, გეოგრაფია-ისტორიიდან, უკითხავდენ გაზეთებს, ადვილათ გასაგებ წიგნებს და სხვა.

სამაგიეროთ, იმათი მოწაფეებიც არ ჰგავდა ზოგიერთ დღევანდელ მასწავლებლის მოწაფეებს; ისინი იწერდენ „ჯეჯილს“, საყმაწვილო წიგნებს, ასე გასინჯე, „მომამბესა“ და „კვალსაც“ კი. ამნაირათ აყვარებდენ მოწაფეებს კითხვა-მეცადინეობას. იმათ ხალხი უყვარდათ, ხალხს კიდევ ისინი. დღევანდელი ზოგიერთი მასწავლებლები კი ისე შორს არიან ხალხისაგან, როგორც დედამიწა ვარსკვლავებიდან...

ცუდათ არის აგრეთვე მოწყობილი სოფლათ სასწავლო წიგნების საქმეც, რითაც სასწავლებელი ხშირათ ხელშეშლილია. ვინ არის ამის მიზეზი?—ისევ მასწავლებლები. უმეტესმა მათგანმა არ იცის, რომელ განყოფილებაში რომელი წიგნით ასწავლოს. რამდენი სასწავლებელია, თითქმის იმდენი სხვა და სხვა სახელმძღვანელო აქვთ. მათ აქამდე ის ვერ მოუხერხებიათ, რომ ერთად შეიკრიბონ და ამა თუ იმ განყოფილებისათვის საუკეთესო საერთო სახელმძღვანელო აირჩიონ და შემოიღონ. მე თითონ ვარ იმის მოწამე, რომ ერთი მასწავლებელი სწერდა წიგნის მაღაზიის პატრონს: გამიგე სოფლის სკოლებში რომელ სახელმძღვანელოს ხმარობენ და მეც ის გამომიგზავნეო!..

ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება დღეს სოფლის სკოლები. ვისაც გული შესტკივა და ინტერესებს მომავალი თაობის ბედ-იღბალი, ის ვალდებულია ყურადღება მიაქციოს სოფლის სკოლების მდგომარეობას და მიიღოს ყოველივე საშუალება, რომ სოფლის სკოლა თავის სიმაღლეზე აიყვანოს და ის საპატიო ადგილი დაიჭიროს, რომელიც მას ღირსეულათ ეკუთვნის.

ს—ია.

პროვინცია

—

სოხუმი. ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი. კვირას, 29 ნოემბერს, ადგილობრივ თვითმართველობის დარბაზში გამართულ იქნა იუბილე ნ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის მოღვაწეობის გამო. თავადმა ნ. გ. თავდგირიძემ წაიკითხა მოკლე თავგადასავალი ნ. გაბუნია-ცაგარლისა. შემდეგ მან წაიკითხა ადრესი, რომელიც იმ დღესვე გაუგზავნა გაბუნია-ცაგარელს. ამ ადრესში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ სოხუმლები მისი 30 წლის მოღვაწეობის გამო ანთავისუფლებენ ადგ. სამოქ. სასწ. 30 ღარიბს მოწაფეებს სწავლის ფულიდან. შემდეგ ადგილობრივ სცენის მოყვარეების მიერ წარმოდგენილ იქნა ქართულს ენაზე „ხუმარა“ („Затѣйница“) და რუსულ ენაზე „ДВѢ ЗНАМЕНИТОСТИ“, იანჩენკოსი. მაგრამ სანამ მოთამაშეებზე ვილაპარაკებდე, საჭიროთ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა გსთქვა სადამოს მმართველებზე: ქ-ნ თურქიასა და სიმონოვაზე. პირველი განაგებდა კასას. როცა მას წარვუდგინე რედაქციის ბილეთი და ვსთხოვე მოეცა ბილეთი, როგორც გაზ. თანამშრომელს, მან დაუძახა ქ-ნ სიმონოვას, რომელმაც კატეგორიულათ განაცხადა, რომ „კორრესპონდენტებზე ბილეთის დათმობა არ შეგვიძლია, რადგანაც ისინი კრიტიკას გაუკეთებენ არტისტებს და მერე უკანასკნელები აღარ გამოვლენ სცენაზეო“ და სხვ. ქ-ნმა თურქიასამ კი დაამატა: „ჩვენ დიდის სიამოვნებით დაგითმობდით ადგილს, მაგრამ ყველა ბილეთები გაყიდულია, არის ადგილი მხოლოდ გალერეაშიო“. ბოლოს, როგორც იქნა, მანეთის საშუალებით, შევიჭერი „საშიში პირი“ სადაც საჭირო იყო. აღმოჩნდა, რომ თავისუფალი ადგილი ყველა რიგებში იყო. „ნუ თუ, გფიქრობდი, ნატოს იუბილეზე პრესის წარმომადგენელს არ უნდა ეთმობოდეს ადგილი მეთქი“!?

არ ვფიქრობთ, რომ განკებ გქებდე მოთამაშეებს. მე ღრმათ დარწმუნებული გარ, რომ ქ-ნ სიმონოვასავით არც ერთი მათგანი არ უფრთხის პრესას და რომ ყოფილიყო და მივუთითო მათ ნაკლულევანებაზე არც ერთი მათგანი არ გადაიკარგება ცხრა მთას იქით. მაგ., ბ. გულივერდაშვილო, გამიჯავრდებით თქვენ, რომ გითხრათ, რომ ცოტა მძიმე აღმოჩნდით ქმრის (ალექსანდრე ჭინჭარაძის) როლისთვის „ხუმარაში“ და ამის გამო განა სცენაზე ფეხსაც არ დაადგამთ შემდეგში?! რაც შეეხება ქ-ნ მშვიდობას და ბ. ფრანგულიანცს—ისინი კარგები იყვნენ: პირველი სონიას როლში და მეორე ტიგრანის. კარგათ წარმოადგინეს ბ. X და ქ-ნ მეეროვიჩმა და ბეკტაშევმა „ДВѢ ЗНАМЕНИТОСТИ“. ხალხმა ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა, როგორც პირველი, ისე მეორე პიესის მოთამაშენი. ჩინებულათ ჩაიარა აგრეთვე საკონცერტო განყოფილებამ სადაც მონაწილეობას იღებდენ: კონსერვატორიის პროფესორი მუღმანი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი. ბეკტაშევმა იმღერა და გეორგობიანმა ჩინებულად წაიკითხა ლექსები. ორივეს ცოცხალი უკვდავების კონები უძღვნეს.

ი.

მუშათა შორის

—

სასტუმრო „ვოსტოკის“ მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. წარსულ წლებში სასტუმრო „ვოსტოკში“ მსახურობდა 6 კაცი. სასტუმროში იმდენი სამუშაო იყო, რომ ექვსი კაცი ვერ ასდიოდა. ამ უკანასკნელ ხანებში, ხაზეინებმაც დროს და გარემოების მიხედვით ფერი იცვალეს და იწყეს მოსამსახურეებისკენ გამოლაშქრება. ერთი მოსამსახურე სალდათათ მიითხოვეს და ცოტა ხნით წავიდა. ის ისევ ჩქარა უკან დაბრუნდა და მოითხოვა თავისი ალაგი, მაგრამ გარეთ გააგდო. ამ დღიდან მან აშკარათ დაიწყო მოსამსახურეების წინააღმდეგ ბრძოლა და ცდილობდა ყოველივე მოზრდილი უფლებები უკან წაეღო და ეს რამდენიმეთ კიდეც შეასრულა. ყვირილი, დანძღვა-გინება ჩვეულებათ გაიხადა. წათამამებულმა ხაზეინმა 6 დეკემბერს კიდევ მეორე მოსამსახურეც დაითხოვა. მიზეზი ის იყო, რომ მოსამსახურე ავათ გახდა. დანარჩენმა მოსამსახურეებმა მიმართეს მას თხოვნით შეებრალებია ავათმყოფი მოსამსახურე და არ გაეგდო გარეთ ასეთ მდგომარეობაში მყოფი, მაგრამ პასუხათ ყვირილი დაგვიწყო და კარები გვიჩვენა. ასეთ პირობების გამო დანარჩენი მოსამსახურეებიც იძულებული გახდენ თავი დაენებებიათ მუშაობისათვის.

გ. ს. ბ.

ბიბლიოგრაფია

(კ. პ. კანდელაკი: „კოოპერაცია“ გამოცემა ამხ. „შრომის“ სტამბისა. ფასი 35 კაპ.).

ყველა, ვისაც კი გული შესტკივა მშრომელი და ღარიბი ხალხის გონებრივი და ქონებრივი წარმატებისათვის, ეჭვი არ არის, დიდი სიხარულით შეხვდება ბ-ნ კ. კანდელაკის „კოოპერაციის“ გამოსვლას, რომელიც, თქმა არ უნდა, პირველი ნაბიჯია გადადგმული ჩვენში კოოპერატიულ დაწესებულებათა გავრცელების, მისი ღირსება-ნაკლულევანების, ახსნა-განმარტების საქმის სასამსახუროთ. ბ-ნ კანდელაკის „კოოპერაცია“, ეს ერთათ-ერთი წიგნია ქართულ ენაზე, რომელიც მშვენიერი, გასაგები ენით უხსნის მკითხველს ამ ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერ ორგანიზაციის—„კოოპერაციის, როგორც თეორიას, ისე მის ისტორიას და პრაქტიკას. მასში ზედმიწევნით გასაგებათ, ნათლათ და გარკვევით არის ახსნილი კოოპერატიულ დაწესებულებათა საჭიროება, მისი უტყუარი სარგებლობა, როგორც ქალაქათ, ისე სოფლათ.

მარა მარტო ამით არ განისაზღვრება ამ წიგნის ღირსება. ის უხსნის რა მკითხველს კოოპერატიულ დაწესებულებათა სხვადასხვა სახეს, არჩევს რა მათ ერთმანეთისაგან, ამასთანავე პრაქტიკულ ზომებსაც იძლევა მის ცხოვრებაში გასატარებლათ. მისი მესამე ნაწილი, ასე ვთქვათ სახელმძღვანელო, თვითმასწავლებელია, ამ საქმეში ჯერეთ გამოუცდელ ჩვენი ხალხისთვის. აქ იმასაც დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, თუ რა ნაირათ არის შესაძლებელი წესდების შედგენა-დამტკიცება, საანგარიშო დავთრების წარმოება და სხვ.

სამწუხაროთ, დრო და ადგილი ნაკლებათ გვიწყობს ხელს ამ ჟამათ უფრო ვრცლათ შევეხოთ ბ-ნ კანდელაკის შრომას—„კოოპერაციას“, მარა არ შეგვიძლია აქვე, ახლავე არ აღვნიშნოთ, ავტორის მიერ აღებულ კითხვის საფუძლიანი ცოდნა და მისი, ჩვენის აზრით, სწორი შეხედულება ამ კითხვის შესახებ, როგორც აწმყოში, ისე მომავალში.

მოგეხსენებათ, ყველანი ერთნაირათ როდი უყურებენ კოოპერაციების როლსა და მნიშვნელობას: ზოგნი მასში ხედავენ თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილების ერთათ ერთ შემმუსვრელ, გამანადგურებელ და სოციალისტურ წყობილების დამამყარებელ ძალას, ზოგნი კი, არა თუ ასეთ სიკეთეს არ გამოელიან მისგან, იმ სამსახურსაც კი ეჭვის თვალით უცქერიან, რაც მათ მართლა შეუძლიათ გაუწიონ მშრომელ და გაღატაკებულ ხალხს. ბ-ნი კანდელაკი, როგორც სჩანს, შორს არის, როგორც ერთ, ისე მეორე შეხედულებიდან, და სავსებით იზიარებს იმ აზრს კოოპერაციებზე, რომელსაც ადგანან ევროპის ს.-დ. მუშათა პარტიები. ბ-ნი კანდელაკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **„კოოპერაცია არ არის ისეთი უნივერსალური საშუალება,** რომელსაც მარტო შეეძლოს კაპიტალიზმის მოსპობა და თანამედროვე ურთიერთობის ძირიანათ შეცვლა“. „მუშათა განმათავისუფლებელი მოძრაობა დროთა და გარემოების მიხედვით იღებს სხვადასხვა სახეს. **კოოპერატიული მოძრაობა არის ერთი სახე ამ მრავალფეროვან განმათავისუფლებელ მოძრაობისა და საშუალება,** რომელიც ამასთანავე ხელს უწყობს მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას არსებულ წესწყობილებაშიაც“. ა, ბ-ნ კანდელაკის შეხედულება კოოპერაციებზე, რომელსაც, სხვებთან ერთათ, არ შეგვიძლია ჩვენც არ დავეთანხმოთ.

ჩვენი ქვეყანა, როგორც ვიცით, მეტად ღარიბია ამჟამათ კოოპერატიულ დაწესებულებებით, მარა ჩვენ ეს არ გვიშლის ვიწამოთ, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, ჩვენს სამშობლოსაც მრავლათ მოევლინება ასეთი დაწესებულებები და მათი დახმარებით, ჩვენი ბედშავი, მრავალ-გზის განაწამები ხალხი უფრო ნაყოფიერათ შესძლებს ცხოვრების უკუღმართ პირობებთან ბრძოლის წარმოებას... მართალია, დღეს ჩვენი ხალხი, მისი მშრომელი უმრავლესობა აოსნაირ შევიწროებას განიცდის, მართალია, დღეს მას შინაურიც და გარეულიც თავში უტყაპუნებს, მართალია მისი სავალი გზები ამ ჟამათ ეკლითაა მოფენილი, მარა ნუ დაგვავიწყდება, რომ ხალხის ენერგიას, მის მოიდომებულ მოქმედებას, ბევრის დაძლევა შეუძლია და ამ შემთხვევაშიაც მოქმედებისაკენ მოვიწოდებთ ჩვენ თანამოძმეებს...

წიგნი სუფთათ არის გამოცემული, შეიცავს 173 გვერდს და ღირს 35 კ., რომელიც, ჩვენის აზრით, არ შეიძლება ზომიერ ფასათ ჩაითვალოს.

ერ. ტორონტაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

განცხადება

ვ. გაღილიას
წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩ.) ისყიდება „მოგზაური“-ს სამი წლის 1901 წ. 1903 და 1904 წ.წ. ნომრები, ივ. როსტომაშვილის რედაქციით გამოსული სამივე წლის **ერთ მანეთად.** (5—3)

Желая составить группу
ИЩУ
товарищей, готовящихся на аттестатъ зрѣлости. Имѣю знаніе 6 клас. гимназіи. Адресь: въ редакцію „Момавали“, спросить Вано. (3—2)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ
„განათლება“-ზე
(წელიწადი მესამე)
1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის.
ხელის მომწერთათვის წლიურათ ჟურნალი ეღირება 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. გაგზავნით, სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურათ **ორ მანეთათ** დაეთმობათ.
ხელის მოწერა მიიღება თფილისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში.
ქალაქს გარეთიდან წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія, Л. Г. Боцвадзе
რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

გამოვიდა და იყიდება
საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
—● კედლის კალენდარი 1910 წ. ●—
შედგენილი ბრ. ხარჯვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი“-ს ამხანაგ. მიერ
ფასი 40 კაპ.
═ სახალხო კალენდარი ●═
1910 წლ. შედგენილი მ. გახელაძისაგან. ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის %% დაეთმობა.
ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань“. (15—9)

კვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი
═ საქართველოს მოამბე ═
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის
ერთის წლის 4 მ. 50 კ., უცხოეთში 6 მან. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Головинскій просп., д. Манташева, номера „Мухрани“ Семену *Кипіани*.

კანტორა და სკლადი
ი. ახობაძისა
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:
„სპერმატინი“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„ალმეზა“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს
ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ, სატელი 40 კ.
„კლაპონი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდისა სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„პრიმა“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—25